**საქმე დს-შ/17-16** **21 ნოემბერი, 2016 წელი**

ქ. თბილისი

მიღების ადგილი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა**

**შემადგენლობა:**

მაია ვაჩაძე **(თავმჯდომარე),**

**მოსამართლეები:** ნუგზარ სხირტლაძე **(მომხსენებელი),**

ვასილ როინიშვილი

**სხდომის მდივანი** - მ. გ.

**საჩივრის ავტორი** - ადვოკატი ლ. ჯ.

**მოწინააღმდეგე მხარე** - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენელი - თ. ხ.

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება** - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 16 სექტემბრის №038/16 გადაწყვეტილება

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 09.06.2016წ. გადაწყვეტილებით, მოქალაქე ნ. შ-ის განცხადების საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, ადვოკატ ლ. ჯ-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ლ. ჯ-ს უნდა ეწარმოებინა სამოქალაქო საქმე მისთვის შვილების დაბრუნების თაობაზე, რადგან მომჩივანს სოციალური სამსახურის მიერ ჩამორთმეული ჰქონდა დედობის უფლება. საადვოკატო მომსახურების თაობაზე მათ შორის წერილობითი შეთანხმება გაფორმდა 2014 წლის 3 იანვარს, ხოლო მინდობილობა გააფორმეს იმავე წლის 23 იანვარს.

საჩივრის ავტორის მითითებით, ადვოკატმა საადვოკატო საქმიანობა არ განახორციელა. საქმის მსვლელობიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ ადვოკატმა

კლიენტს განუცხადა, რომ შედეგს ვერ მიაღწევდა და დაპირდა თანხის უკან დაბრუნებას, რაც დღემდე არ შეუსრულებია. ამის შემდეგ ადვოკატ ლ. ჯ-მა მომჩივნის ახლობელს შეუთვალა, რომ თუ ნ. შ-ი დამატებით გადაუხდიდა 3000-4000 ლარს, მაშინ საქმეს კვლავ აწარმოებდა. საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის 25.05.2016წ. სხდომაზე განაცხადა, რომ ადვოკატმა მას უნდა დაუბრუნოს საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის ნაწილი, ვინაიდან ადვოკატმა წერილობითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად არ შეასრულა.

ადვოკატმა ლ. ჯ-მა 19.05.2016წ. ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარადგინა, სადაც მიუთითა, რომ 18.01.2016წ. იგი საგარეჯოს რაიონული განყოფილებაში სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდა, რომელთა მტკიცებით ბავშვებზე ადგილი ჰქონდა სქესობრივ და ფსიქოლოგიურ ძალადობას მათი მამინაცვლის მხრიდან. მან იმავე დღეს შეიტანა განცხადება საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში და ბავშვების ბიულოგიურ დედასთან დაბრუნება მოითხოვა, რაზეც 20.02.2016წ. გადაწყვეტილებით უარი მიიღო. აღნიშნული უარი ადვოკატმა ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა ჯანდაცვის სამინისტროში, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საგარეჯოს სოციალური მომსახურების რაიონულ განყოფილებას. ადვოკატ ლ. ჯ-მა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ საჩივარზეც პასუხი უარყოფითი იყო, მაგრამ მან ეს პასუხი არ ჩაიბარა იმ მიზეზით, რომ არ გაეშვა გასაჩივრების ვადა.

ადვოკატის განცხადებით, ნ. შ-ს პრობლემა ჰქონდა საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებით. მისი 7-წევრიანი ოჯახი ცხოვრობდა პატარა ფართობის საცხოვრებლად მოუწესრიგებელ სახლში. ადვოკატმა აუხსნა კლიენტს, რომ არსებული მტკიცებულებებით დავა სასამართლოში იმჟამად უპერსპექტივო იყო. ამიტომ შეთანხმდნენ, რომ როდესაც ნ. შ-ი მოაგვარებდა ბინის პრობლემას და მისი მეუღლე - ვ. შ-ც მოიპოვებდა საკმარის მტკიცებულებებს, მხოლოდ ამის შემდეგ გაეგრძელებინათ საქმის წარმოება და შეეტანათ სასამართლოში სარჩელი.

საპროცესო კოლეგიის დასკვნით, ეთიკის კომისიის მიერ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 16.09.2016წ. გადაწყვეტილებით ადვოკატი ლ. ჯ-ი ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევაში, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - გაფრთხილება.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების თაობაზე წერილობითი შეთანხმება გაფორმდა 03.01.2014წ. შეთანხმების საგანს შეადგენდა „ბავშვის მშობლებისთვის დაბრუნება“. საჩივრის ავტორმა ადვოკატს საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით გადასცა 1000 ლარი. ადვოკატი 18.01.2014წ. საქმეზე ინფორმაციის მისაღებად საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში შეხვდა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს. ადვოკატმა 08.01.2014წ. და 29.01.2014წ.

განცხადებები შეიტანა სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში და მოითხოვა ბავშვების ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნება და სოციალური მუშაკის აცილება, რაზეც უარი მიიღო. ადვოკატმა აღნიშნული უარი გაასაჩივრა კახეთის რეგიონალურ საბჭოში, რაზეც 20.02.2014წ. გადაწყვეტილებით საჩივრის ავტორს ასევე უარი ეთქვა ბავშვების ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნებაზე და შაბათ-კვირასა და დასვენების დღეებში მათ წამოყვანაზე. ადვოკატმა კახეთის რეგიონალური საბჭოს უარი 17.03.2014წ. ადმინსიტრაციული საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საგარეჯოს სოციალური მომსახურების რაიონულ განყოფილებას. ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ადვოკატმა არ ჩაიბარა საგარეჯოს სოციალური მომსახურების რაიონული განყოფილების პასუხი, რადგან არ სურდა გასაჩივრების ვადის გაშვება. ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ, რომ საქმის წარმოება დროებით უნდა შეჩერებულიყო და ადვოკატი სასამართლოს მიმართავდა მაშინ, როცა მათ საქმის წარმატებით დასრულების შესაძლებლობა ექნებოდათ. საჩივრის ავტორმა ადვოკატს 2016 წელს ცალმხრივად შეუწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რის შემდეგაც ადვოკატმა ნ. შ-ს არ დაუბრუნა თანხა ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოსა და გაწეული ხარჯის გამოკლებით.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. ჯ-ს მიერ დაირღვა „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი, რომლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს, გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლოა, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულებების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

კლიენტი - ნ. შ-ი და ადვოკატი - ლ. ჯ-ი სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა მიიღო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარი - 1000 ლარი და ადვოკატის მიერ გასაწევი საადვოკატი მომსახურება

მოიცავდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობასაც. ადვოკატს შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაო ბოლომდე არ შეუსრულებია, კერძოდ, მან არ მიმართა სასამართლოს. მართალია, საქმის წარმოების გადადებაზე მხარეები 2014 წელს შეთანხმდნენ და ეს წარმოადგენდა ადვოკატის სტრატეგიას, მაგრამ რადგან კლიენტმა ცალმხრივად შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, ადვოკატს უნდა გამოექვითა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისთვის ექვივალენტური სავარაუდო თანხა მიღებული საზღაურიდან, ხოლო ჰონორარის დარჩენილი ნაწილი უნდა დაებრუნებინა კლიენტისათვის.

ეთიკის კომისიამ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას იხელმძღვანელა სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და ის გარემოება, რომ ადვოკატ ლ. χ-მა როგორც ეთიკის კომისიის საპროცესო, ისე განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ვერ გააცნობიერა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი, უარი განაცხადა საჩივრის ავტორთან მორიგებაზე და მიიჩნია, რომ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნებოდა. ამდენად, ადვოკატ ლ. χ-ს დაეკისრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა ლ. χ-მა, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 16.09.2016წ. გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის მითითებით, იგი წარმომადგენლობას ახორციელებდა ნ. შ-ს სამოქალაქო საქმეზე, რომელსაც ჩამორთმეული ჰქონდა დედობის უფლება ოთხ შვილზე. ადვოკატმა საქმის წარმოებისას გამოარკვია, რომ ბავშვებზე ადგილი ჰქონდა სქესობრივი ხასიათის ძალადობას მათი მამინაცვლის - ვ. შ-ს მხრიდან. ასევე, მათ საცხოვრებელ ბინაში არ იყო საცხოვრებლად დამაკმაყოფილებელი პირობები, რის გამოც საგარეχოს რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკები კატეგორიულ უარს აცდხადებდნენ ბავშვების ბიოლოგიურ ოχახში რეინტეგრაციაზე. ადვოკატმა აღნიშნა, რომ ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილება ეფუძნება სოციალური მუშაკის დასკვნას, სასამართლოში სარჩელის შეტანა არსებული მომენტისთვის უპერსპექტივო იქნებოდა. აღნიშნულის თაობაზე ესაუბრა კიდეც მის მარწმუნებელს და მასთან ერთად შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვები იყვნენ 10 წელს მიუღწეველი, სასამართლო მათ აზრს არ გაითვალისწინებდა, ამასთანავე მათ არ გააჩნდათ საცხოვრებლად ვარგისი პირობები და უმχობესი იქნებოდა საქმის წარმოების გადადება.

საჩივრის ავტორის აღნიშვნით, 03.01.2014წ. დადებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ თუკი საადვოკატო მომსახურება შეწყდება მარწმუნებლის მოთხოვნით, წარმომადგენლობისთვის გადახდილი თანხა მას არ უბრუნდება. „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლთან, რომელიც ეხება ხელშეკრულების თავისუფლებას. კერძოდ, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ

ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ამასთან, სსკ-ის 68-ე მუხლის თანახმად, გარიგების ნამდვილობისთვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ  არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. ამავე კოდექსის 79-ე მუხლით განმარტებულია შეცილების ვადა, რომ შეცილება უნდა მოხდეს  შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატ ლ. ჯ-მა გასაჩივრებული გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის ნაწილში უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია და მოითხოვა მისი შეცვლა უფრო მსუბუქი დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით ან სახდელის მოხსნა.

## ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო  ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ ლ. ჯ-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატ - ლ. ჯ-სა და კლიენტ ნ. შ-ს შორის 03.01.2014წ. საადვოკატო მომსახურების თაობაზე წერილობითი შეთანხმება გაფორმდა. შეთანხმების საგანს წარმოადგენდა „ბავშვის დაბრუნება მშობლებისთვის“, ანუ მინდობით აღზრდაში გადაცემის შეწყვეტა, ბავშვების დაბრუნება დედის ოჯახში. ხელშეკრულება ითვალისწინებდა წარმომადგენლობას სასამართლოში. საჩივრის ავტორმა ადვოკატს, საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით, გადასცა 1000 ლარი.

ადვოკატი ლ. ჯ-ი 18.01.2014წ. საქმეზე ინფორმაციის მისაღებად საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში შეხვდა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს. მან 08.01.2014წ. და 29.01.2014წ. განცხადებები შეიტანა სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში და მოითხოვა ბავშვების ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნება და სოციალური მუშაკის აცილება, რაზეც უარი მიიღო. ადვოკატმა აღნიშნული უარი გაასაჩივრა კახეთის რეგიონალურ საბჭოში, რომლის 20.02.2014წ. გადაწყვეტილებით საჩივრის ავტორს უარი ეთქვა ბავშვების ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნებაზე და შაბათ-კვირასა და დასვენების დღეებში მათ წაყვანაზე. ადვოკატმა კახეთის რეგიონალური საბჭოს უარი 17.03.2014წ. ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საგარეჯოს სოციალური მომსახურების რაიონულ განყოფილებას. განყოფილების მიერ ადმინისტრაციული საჩივარი არ დააკმაყოფილა. ადვოკატმა არ ჩაიბარა საგარეჯოს სოციალური მომსახურების რაიონული განყოფილების პასუხი, რადგან არ სურდა გასაჩივრების ვადის გაშვება. საჩივრის ავტორმა ადვოკატს 2016 წელს ცალმხრივად

შეუწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება იმ მოტივით, რომ მისთვის სასურველი შედეგი არ დადგა. ადვოკატმა ნ. შ-ს არ დაუბრუნა თანხა ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოსა და გაწეული ხარჯის გამოკლებით.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდისა და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე, რაც მნიშვნელოვანია კლიენტისთვის. „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის საქმიანობის ანაზღაურების წესსა და პირობებს, რომლებიც წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის და გამომდინარეობდეს საქმის სირთულიდან, მოცულობიდან კვალიფიკაციიდან და სხვ.

ადვოკატი ლ. ჯ-ი წარმოდგენილ საჩივარში აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-15 პუნქტი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლთან. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. 03.01.2014წ. დადებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ თუკი საადვოკატო მომსახურება შეწყდება მარწმუნებლის მოთხოვნით, წარმომადგენლობისთვის გადახდილი თანხა მას არ უბრუნდება.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს, სახელშეკრულებო დათქმა ეწინააღმდეგება „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ სპეციალურ ნორმას, რომლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. ამასთანავე, დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი წესების თანახმად, რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად (სკ-ის 715.1 მუხლი), მათ შორის წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებისათვის ანაზღაურების სახით გადახდილი საფასურის თანხის ის ნაწილი, რომელიც ეხება გაუწეველი მომსახურების ღირებულებას. ის გარემოება, რომ მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის 03.01.2014წ. ხელშეკრულება არ გაუქმებულა, არ გამორიცხავს წარმომადგენლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ვინაიდან განიხილება არა გადახდილი თანხის დაბრუნების, არამედ ადვოკატის მიერ პროფესიული ქცევის სტანდარტის დაცულობის, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. სადისციპლინო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემული დავის საგანს შეადგენს ადვოკატის მიერ კორპორაციული წესების დაცვის, სადისციპლინო ნორმის გამოყენების მართლზომიერების და არა ადვოკატისათვის გადახდილი საადვოკატო მომსახურების საფასურის, გადახდილი თანხის დაბრუნების საკითხი, ეს უკანასკნელი განეკუთვნება ადვოკატსა და კლიენტს შორის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას, რაც შეეხება ადვოკატის ქმედების

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსთან“ შესაბამისობას, აღნიშნული წარმოადგენს სადისციპლინო კოლეგიის მსჯელობის საგანს, სადისციპლინო კოლეგია ადვოკატის ქცევის სტანდარტის დაცულობის შემოწმებისას არ არის შებოჭილი მხარეებს შორის დადებული შეთანხმების ტექსტით.

სადისციპლინო კოლეგია აღნიშნავს, რომ საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანს შეადგენს და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება. პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა.

სადისციპლინო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნ. შ-სა და ადვოკატ ლ. ჯ-ს შორის 03.01.2014წ. დადებული შეთანხმების თანახმად, წარმომადგენელს ეკისრებოდა მარწმუნებლის ინტერესების დაცვა სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ სარჩელი სასამართლოში არ აღძრულა, სასამართლოს მიერ საქმე არ განხილულა, ადვოკატს მარწმუნებლის ინტერესების წარმომადგენლობა სასამართლოში არ გაუწევია, ადვოკატმა არ დააბრუნა მარწმუნებლის მიერ მისთვის გადახდილი თანხა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებში, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში.

საქმის მასალებით დასტურდება რომ მომსახურება შემოიფარგლა შემდეგით: 18.01.2014წ. ადვოკატი შეხვდა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს, განცხადება შეიტანა ადმინისტრაციულ ორგანოში, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით კახეთის რეგიონალურ საბჭოში, ამ უკანასკნელის გადაწყვეტილება გასაჩივრდა სამინისტროში. ამდენად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედება - სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელება ადვოკატის მიერ არ შესრულებულა. ადვოკატის მითითება, რომ სასამართლოში სარჩელის აღძვრაზე თავის შეკავება გამოწვეული იყო საქმეზე შერჩეულ საადვოკატო სტრატეგიით, არ ადასტურებს გამოყენებული დისციპლინური ზომის უსაფუძვლობას, ვინაიდან აღნიშნული არ უარყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციის შეუსრულებლობას, შეუსრულებელი სამუშაოსათვის გასამრჯელოს მიღებას. გასაწევი მომსახურების სრულად შეუსრულებლობა მარწმუნებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამო, ავალდებულებდა რწმუნებულს, გაწეული მომსახურების ღირებულების გამოქვითვით, გადახდილი თანხის დაბრუნებას. ადვოკატის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში არის მისაღები მანამდე გაწეულ მომსახურებაზე დახარჯული დროის ოდენობა, საქმის სირთულე,

წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სხვა. კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საზღაური გადახდილია სრულად, რაც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, ხოლო საადვოკატო მომსახურება სრულად არ განხორციელებულა. ამდენად, ადვოკატმა ლ. ჯ-მა სრულად არ განახორციელა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება, რაც „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევას წარმოადგენს.

არ დასტურდება ადვოკატ ლ. ჯ-ს საჩივარში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადვოკატმა შესთავაზა მარწმუნებელს თანხის ნაწილის დაბრუნება, რაზეც მან უარი განაცხადა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. ჯ-ს ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის განხილვისას მიეცა წინადადება მორიგებისათვის, რაზეც ადვოკატმა განაცხადა, რომ მას მოსარიგებელი არაფერი ჰქონდა და კლიენტისათვის თანხის დაბრუნების წინააღმდეგი იყო, რის გამოც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა უფრო ნაკლები დისციპლინური ზომის (კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის) მიღების შესაძლებლობა. ადვოკატ ლ. ჯ-ს საქმის სადისციპლინო პალატაში განხილვის პროცესშიც მიეცა წინადადება, მოეგვარებინა ურთიერთობა კლიენტთან მოცემულ დავაში, რასაც შედეგი არ მოჰყოლია.

21.11.2016წ. სადისციპლინო პალატის სხდომაზე საჩივრის ავტორმა - ლ. ჯ-მა აღნიშნა, რომ მას და ნ. შ-ს შორის დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაუქმებული არ არის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ შეითავსა სასამართლოს ფუნქცია მაშინ, როცა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით და არა რომელიმე ორგანოს მიერ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ნ. შ-ს მიერ ცალმხრივად არის შეწყვეტილი, რასაც ადასტურებს ეთიკის კომისიაში შეტანილი საჩივრის შინაარსი, რომლის მიხედვით კლიენტს აღარ აქვს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გაგრძელების სურვილი და სურს თანხის ნაწილის დაბრუნება. ამასთანავე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომისიისა და სადიციპლინო პალატის სხდომებზე თავად ადვოკატი აღნიშნავდა, რომ კლიენტმა მას ცალმხრივად შეუწყვიტა ხელშეკრულება (ტI, ს.ფ. 64; 66). როგორც ეთიკის კომისიაში, ისე სადისციპლინო პალატაში მოცემული დისციპლინური საქმის განხილვისას საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო, რის გამოც სადისციპლინო პალატა საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს.

სადისციპლინო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის – გაფრთხილების შეფარდებასთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატა თვლის, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე. ამდენად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომების შესაბამისია.

სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ყოველმხრივ და ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად, ადვოკატ ლ. ჯ-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 პუნქტი, შესაბამისად, ადვოკატის ქმედებებს მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და მას კანონიერი და სამართლიანი სახდელი დაეკისრა.

ამდენად, სადისციპლინო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. შესაბამისად, საჩივრის ავტორის ლ. ჯ-ს მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

## ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის „ა” ქვეპუნქტით, 70-ე მუხლით (კანონის ანალოგია) და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ლ. ჯ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 16 სექტემბრის №038/16 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე /მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები: /ნუგზარ სხირტლაძე/

/ვასილ როინიშვილი/